PLITONIT

პროფესიონალად ყოფნა ადვილია

Plitonit Deutsche Qualität

## PLITONIT ანტიფრიზი - ყინვაგამძლე დანამატი ხსნარებისა და ბეტონის ნარევებისთვის

დანამატი გამოიყენება ბეტონის და ხსნარის ნარევებში, რომლებიც განკუთვნილია სამოქალაქო, სამრეწველო და სატრანსპორტო მშენებლობისთვის ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების დასამზადებლად. იძლევა სამუშაოების ჩატარების საშუალებას -35°C-მდე ტემპერატურაზე. +20°C-დან და მეტ ტემპერატურაზე აჩქარებს ბეტონებისა და არმოდიფიცირებული ხსნარების სიმტკიცის მატებას. შესაძლებელია დანამატის გამოყენება პლიტონიტის მშრალ სამშენებლო ნარევებთან ერთად. დანამატის გამოყენება დაუშვებელია შემდეგი რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოებისას: დაძაბულ არმატურასთან; 5 მმ და ნაკლები დიამეტრის არადაძაბულ არმატურასთან; რომლებიც გამოიყენება ტენიანი ან სველი რეჟიმის პირობებში, ასევე აგრესიულ გარემოში.

**დაფასოება — პლასტმასის კანისტრი 3 ლ, 10 ლ.**

- ზრდის ყინვამედეგობას
- აჩქარებს სიმტკიცის მატებას
- მოდიფიცირებული ნარევებისთვის, ქვიშა ცემენტის ნაზავებისთვისა და ბეტონებისთვის
- კონცენტრატი

**მასალის ხარჯი**

**გამოყენება არამოდიფიცირებულ ქვიშა ცემენტთან**

| საჭირო ეფექტი | სამუშაოების ჩატარების ტემპერატურა | დანამატის ხარჯი, ლიტრები 100 კგ მშრალ ნივთიერებაზე | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ცემენტის | ქვიშა ცემენტის ნაზავი M150 | ქვიშა ცემენტის ნაზავი M200 | ქვიშა ცემენტის ნაზავი M300 |
| სიმტკიცის მატების აჩქარება | +20˚C-დან | 0,77 ლ | 0,13 - 0,18 ლ | 0,17 – 0,22 ლ | 0,22 – 0,27 ლ |
| ყინვაგამძლე ეფექტი | +5˚C-დან -5˚C-მდე | 1,15 ლ | 0,2 – 0,28 ლ | 0,25 – 0,33 ლ | 0,32 – 0,4 ლ |
| | -6˚C-დან -10˚C-მდე | 1,54 ლ | 0,26 – 0,37 ლ | 0,34 – 0,45 ლ | 0,43 – 0,54 ლ |
| | -11˚C-დან -15˚C-მდე | 1,92 ლ | 0,33 – 0,46 ლ | 0,42 – 0,56 ლ | 0,54 – 0,67 ლ |
| | -16˚C-დან -25˚C-მდე | 2,31 ლ | 0,39 – 0,55 ლ | 0,51 – 0,67 ლ | 0,65 – 0,81 ლ |
| | -26˚C-დან -35˚C-მდე | 3,08 ლ | 0,52 – 0,74 ლ | 0,68 – 0,89 ლ | 0,86 – 1,08 ლ |

**გამოყენება CCC PLITONIT-თან**

| საჭირო ეფექტი | სამუშაოების ჩატარების ტემპერატურა | დანამატის ხარჯი, ლიტრები 25 კგ მშრალ ნივთიერებაზე | | |
|---|---|---|---|---|
| | | მასტერკლადკი, T1+ | P1 pro | აჩქარებული, B გაძლიერებული, B+, C |
| სიმტკიცის მატების აჩქარება | +20˚C-დან | 0,05 ლ | 0,07 ლ | 0,08 ლ |
| ყინვაგამძლე ეფექტი | +5˚C-დან -5˚C-მდე | 0,07 ლ | 0,1 ლ | 0,12 ლ |
| | -6˚C-დან -10˚C-მდე | 0,1 ლ | 0,13 ლ | 0,15 ლ |
| | -11˚C-დან -15˚C-მდე | 0,12 ლ | 0,17 ლ | 0,19 ლ |
| | -16˚C-დან -25˚C-მდე | 0,16 ლ | 0,2 ლ | 0,23 ლ |
| | -26˚C-დან -35˚C-მდე | 0,19 ლ | 0,27 ლ | 0,31 ლ |

**გამოყენების წესი**

დანამატის გამოყენება უნდა მოხდეს ბეტონის ან ხსნარის ნარევის ადუღაბების წყალთან მორევის პროცესში. დანამატის ეფექტურობა იზრდება ადუღაბების წყლის მინიმალური რაოდენობით. დანამატის უშუალოდ მშრალ ნარევში დამატება აკრძალულია.

**რეკომენდაციები ბეტონებსა და ხსნარებში გამოყენებისას**

- ბეტონის ან ხსნარის წარმოებისთვის საჭიროა თბილი შემვსებების გამოყენება;
- ბეტონის ან ხსნარის ნარევის რეკომენდებული ტემპერატურა უარყოფითი ტემპერატურისას - არანაკლებ +25°C;
- რეკომენდებულია მაღალი მარკისა და სწრაფმყარებადი ცემენტების გამოყენება მაღალი თბოგამოყოფით;
- გაყინვის შედეგად ტენიანობის დაკარგვის თავიდან ასაცილებლად ბეტონის ან ხსნარის ზედაპირი სამუშაოების დასრულების შემდეგ უნდა დაიფაროს ჰიდროსაიზოლაციო მასალის ფენით (რუბეროიდი, პოლიეთილენის ფირი და სხვა); რეკომენდებულია ახლად დაგებული ბეტონის ან ხსნარის სითბოს ინტენსიური დაკარგვისგან დაცვა (თბოიზოლაციის მასალებით დაფარვა), შესაძლებლობის შემთხვევაში დამატებითი გათბობის მოწყობა;
- სამშენებლო ხსნარის გამოყენებისას საჭიროა ზედაპირის +10°C-მდე გახურება;

**ტექნიკური მახასიათებლები**

| | |
|---|---|
| იაერსახე | ცისფერი-ლურჯი ფერის სითხე, დასაშვებია უმნიშვნელო ნალექის (ტივტივარის) არსებობა |
| მშრალი ნივთიერების მასური წილი, % | არანაკლებ 35-ისა |
| სიმკვრივე, გ/სმ$^3$ | 1,27-1,31 |
| წყალბადის იონების აქტივობის მაჩვენებელი (pH) | 5,0-10,0 |
| CL-ის შემცველობა, %, არაუმეტეს | 9 |

**უსაფრთხოების ზომები**

დანამატი მიეკუთვნება საშიშროების მე-4 კლასს (მცირე საშიშროების მქონე ნივთიერებები) სახელმწიფო სტანდარტის 12.1.007-ის მიხედვით. სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ ხელთათმანები, დამცავი სათვალეები, სასუნთქი ორგანოების დამცავი საშუალებები. მოერიდეთ დანამატის კანზე და თვალებში მოხვედრას. თვალში მოხვედრის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ამოიბანეთ წყლის დიდი რაოდენობით. მოარიდეთ ბავშვებს!

**ტრანსპორტირებისა და შენახვის პირობები**

ტრანსპორტირება და შენახვა უნდა მოხდეს არანაკლებ -25°C და არაუმეტეს +40°C ტემპერატურაზე ჰერმეტულად დახურულ ტარაში, მზის პირდაპირი სხივების ზემოქმედებისგან დაცვით. უარყოფით ტემპერატურაზე ტრანსპორტირებისას შესაძლებელია ნალექის წარმოქმნა, რომელიც იხსნება გახურებითა და საფუძვლიანი მორევით პროდუქტის თვისებების დაკარგვის გარეშე.

**შემადგენლობა**

ორგანული და არაორგანული მჟავების მარილების წყალხსნარი.

**მწარმოებლის გარანტია**

მწარმოებელი იძლევა გარანტიას, რომ დანამატი შეესაბამება ტექნიკური პირობების მოთხოვნებს, თუ მომხმარებელი დაიცავს ტრანსპორტირების, შენახვისა და ამ ინსტრუქციის მითითებებს. მწარმოებლის ტარაში შენახვის საგარანტიო ვადა - 24 თვე დამზადების დღიდან.

**ლოგისტიკური ინფორმაცია 3 ლ-იანი კასრისთვის**

ინდივიდუალური შტრიხკოდი 4607013046030

ჯგუფური შტრიხკოდი 14607013046037 კანისტრების რაოდენობა კოლოფში – 6 ც.
კანისტრების რაოდენობა პალეტზე – 144 ც.

**ლოგისტიკური ინფორმაცია 10 ლ-იანი კასრისთვის**

ინდივიდუალური შტრიხკოდი 4607013046023 კანისტრების რაოდენობა პალეტზე – 40 ც.